www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 10 ოქტომბერი, 2013 წელი. | №3383 (190) | ფასი 50 თეთრი

უარი უშიშროების საბჭოს

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევის საკითხს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში სკეპტიკურად აფასებენ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა ანდრო ბარნოვმა, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სახელით, მთავრობას უშიშროების საბჭოს მოწვევა შესთავაზა. ანდრო ბარნოვის თქმით, პრეზიდენტს საოკუპაციო ხაზთან შექმნილი ვითარების გამო სხდომის მოწვევა აუცილებლად მიაჩნია. **„იცით, რომ მცოცავი ოკუპაცია გრძელდება. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ამ საკითხის შესახებ სასწრაფო მსჯელობაა საჭირო,“** - აღნიშნა ბარნოვმა. პრეზიდენტი მზადყოფნას გამოთქვამს, სხდომა შაბათს მოიწვიოს. როგორც ბარნოვმა დასძინა, შესაძლოა, უშიშროების საბჭოს ფორმატში განსახილველ საკითხთა შორის სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს მონაწილეობის საკითხიც ყოფილიყო.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც უშიშროების საბჭოს წინა ორ სხდომაში მონაწილეობა არ მიუღია, პრეზიდენტის შეთავაზებას არც ამჯერად შეხვედრია დადებითად. როგორც პრემიერის პრესსამსახურში აღნიშნავენ, საქართველოს პრემიერ-მინისტრი უშიშროების საბჭოს სხდომაში მონაწილეობას არ მიიღებს, რადგან ეს პრეზიდენტის პიარაქციაა. **საქართველოს მთავრობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ამ საკითხების რეალური მოგვარებით არის დაკავებული,“** - აღნიშნავენ პრემიერის პრესსამსახურში.

უშიშროების საბჭოს სხდომაში მონაწილეობაზე ასევე უარს აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. სპიკერი პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის გაგზავნილ წერილში ანდრო ბარნოვს საჯაროდ სთხოვს, პრეზიდენტს გადასცეს, რომ უშიშროების საბჭოს ამ სხდომაზე დასწრებით პარლამენტის თავმჯდომარეს მოუწევს, მონაწილეობა მიიღოს პრეზიდენტის მიერ ორგანიზებულ მორიგ პიარმასკარადში, რაც, როგორც უსუფაშვილი აღნიშნავს, უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური ინსტიტუტების (საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს უშიშროების საბჭო) დისკრედიტაციას გამოიწვევს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

გარდაცვლილი ჰატიმრის ოჯახი სოზარ სუბარის სენაკში ჩასვლას მოითხოვს

თიკა ნიკოლაძე

ქუთაისის მე-2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გარდაცვლილი 16 წლის გოგი ძველაიას ოჯახის წევრები სასჯელაღსრულების მინისტრ სოზარ სუბარის სენაკში ჩასვლას მოითხოვენ.

გარდაცვლილის მამა აცხადებს, რომ სანამ სოზარ სუბარი სენაკში დამოუკიდებელ ექსპერტთან ერთად არ ჩავა, შვილის დაკრძალვას არ აპირებს.

„სოზარ სუბარს ვთხოვ, ჩამოვიდეს სენაკში, მოიყვანოს თავისი ექსპერტი, თუ მას არ გააჩნია ეს თანხა და საშუალება, მაშინ ამას მე ავანაზღაურებ, ერთმანეთს დავუმტკიცოთ სიმართლე, სანამ არ ჩამოვა და ეს საქმე არ გაირკვევა, მანამდე ჩემს შვილს არ დავასაფლავებ,“ - განაცხადა ძველაიამ.

დამოუკიდებელ ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილის განცხადებით, მან ცხედარის გარეგანი დათვალიერებით ფიზიკური ზეწოლის კვალი ვერ აღმოაჩინა.

„ოფიციალურ პასუხს დაველოდები და ამის შემდეგ დავდებ ჩემს დასკვნებს, თუ რამდენად შეესაბამება მასალები ჩემ მიერ გაკეთებულ დასკვნებს,“ - აღნიშნა მაია ნიკოლეიშვილმა.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელ ნათია კაციტაძის თქმით, გამოძიების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია, ეს საქმე პროკურატურამ გამოიძიოს.

„სახალხო დამცველის აპარატმა საქმის შესწავლა დაიწყო. ამჟამად ინფორმაციის მოძიების ეტაპზე ვართ. ძალიან მნიშვნელოვანია, ამ საქმეზე დროული გამოძიება დაიწყოს და ის ეფექტურად და დამოუკიდებლად ჩატარდეს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

სიღარიბის დაძლევისკენ მიმავალი გზა

ჯიმ იონგ კიმი
მსოფლიო ბანკის
პრეზიდენტი

დღეს მილიარდ ადამიანზე მეტი დღეში 1.25 დოლარზე ნაკლები შემოსავლით ცხოვრობს. ეს არის ლაქა ჩვენს სინდისზე. ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა დავეხმაროთ ადამიანებს სიღარიბის დაძლევაში, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე და ყოველგვარი გარემოების თუ ადგილმდებარეობის მიუხედავად.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

პროგნოზირებადი არჩევნები აზერბაიჯანში

ივა შილაკაძე

გუშინ აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. ინტრიგა, როგორც ასეთი, საარჩევნო კამპანიის მთელი პერიოდის განმავლობაში რეალურად არც გაჩენილა. ყველამ ყველაფერი ისედაც კარგად იცოდა. გაზეთის გამოსვლის მომენტისთვის უკვე გამოქვეყნებული იყო ეგზითპოლების შედეგებიც, რომელთა თანახმადაც, მოქმედი პრეზიდენტი 80 პროცენტზე მეტს აგროვებს და შესაბამისად მესამე ვადით იკავებს ქვეყნის პრეზიდენტის თანამდებობას.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121

„ემპოლის„ მჭედლიძე სჭირდება

მსოფლიოს 2014 წლის შესარჩევ ციკლს საქართველოს ნაკრები ესპანეთთან გასვლით შეხვედრაში დაასრულებს. აქედანვე ცნობილია, რომ საქართველოს ნაკრებს ვერ დაეხმარება სერია B-ს ბინადარი „ემპოლის“ ქართველი თავდამსხმელი ლევან მჭედლიძე, რომელმაც ახლანდელ კლუბთან 2015 წლის ზაფხულამდე გააგრძელა ხელშეკრულება.

„ემპოლისთან“ გახანგრძლივებული ხელშეკრულებიდან ერთ დღეში 23 წლის ქართველს გაესაუბრა იტალიური ონლაინ გამოცემა gonews.it, საიდანაც საქართველოს ნაკრებში ჩამოუსვლელობის მიზეზს ჩვენც ვიტყობთ.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

თელავში ფესტივალი იწყება

12 ოქტომბერს, 19:00 საათზე - თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი გაიხსნება. ფესტივალი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით და „კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის“ ორგანიზებით გაიმართება, გენერალური სპონსორი გახლავთ კომპანია კავკასუს ონლაინი“. ფესტივალის დამფუძნებელი და გენერალური სამხატვრო ხელმძღვანელია ცნობილი ქართველი პიანისტი ელისო ვირსალაძე.

2013 წლის ფესტივალი მოიცავს 6 კონცერტს, რომლის უმეტესობა საერთაშორისო საფესტივალო ორკესტრის თანხლებით გაიმართება. იგი დაკომპლექტდა საგანგებოდ ფესტივალისთვის და მასში უკრავენ მაღალპროფესიონალი მუსიკოსები სხვადასხვა ქვეყნიდან. ორკესტრს წარუძღვება დირიჟორი არიელ ცუკერმანი.

2013 წლის ფესტივალი სოლისტების შემდეგი შემადგენლობით წარსდგება მსმენელის წინაშე:

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

სამართალდამცველებმა წყალტუბოში უცნობი მამაკაცი იპოვეს

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, 3 ოქტომბერს შსს-ს საპატრულო დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს წყალტუბოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანებში გამავალ თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზაზე, დაახლოებით, 35-დან 45 წლამდე ასაკის უცნობი მამაკაცი იპოვეს, რომელიც თავის ვინაობას ვერ ასახელებს, სავარაუდოდ, სმენისა და მეტყველების პრობლემა აქვს.

შსს-ს ცნობით, უცნობი მამაკაცის გარეგნობის აღწერილობა ასეთია: ქართული იერსახის, თხელი აღნაგობის, სუსტი პირისახის, დაახლოებით 1,80 მ სიმაღლის, შავი-ჭაღარა მოკლე, შეთხელებული თმით, შავი, წვრილი რკალისებრი წარბებით, სწორი ცხვირით, თაფლისფერი თვალებით. განსაკუთრებული ნიშნები არ აღენიშნება.

ტანთ აცვია: მოთეთრო ფერის სპორტული ფეხსაცმელი, თეთრი ფერის შარვალი, ლურჯი ფერის თეთრზოლიანი გრძელსახელოიანი პერანგი და შავი ფერის ტყავის ქურთუკი ელვა შესაკრავით.

აღნიშნული პიროვნების ამოცნობის შემთხვევაში, შსს მოსახლეობას სთხოვს, დაუკავშირდეს წყალტუბოს რაიონულ სამმართველოს შემდეგ ნომრებზე: 577 526618, 577 529897.

დავით უსუფაშვილი იმედოვნებს, რომ პარლამენტი თბილისში თებერვალში გადმოვა

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს იმედი აქვს, რომ პარლამენტი ქუთაისიდან თბილისში თებერვალში გადმოვა, - აღნიშნული განცხადება მან ბიზნესსექტორთან შეხვედრისას გააკეთა, სადაც ბიზნესსექტორთან აქტიური თანამშრომლობისა და კომუნიკაციის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

ბიზნესისადმი დავით უსუფაშვილის შეთავაზებაა, რომ მასთან და შესაბამისი პროფილის საპარლამენტო კომიტეტების წარმომადგენლებთან შეხვედრები კვარტალში ერთხელ მაინც გაიმართოს და ყველა საკანონმდებლო ინიციატივაზე იყოს ინტენსიური თანამშრომლობა.

დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ ქუთაისში პარლამენტის ყოფნა ამ თვალსაზრისით ბევრ რამეს აფერხებს და იმედი აქვს, პარლამენტი თებერვალში ქუთაისიდან დედაქალაქში გადმოვა.

აშშ-ში საბიუჯეტო პრობლემების გამო საქართველოში აშშ-ს საელჩოს საქმიანობაში შეზღუდვებია

აშშ-ში ბიუჯეტის მიღების მხრივ პრობლემების გამო საქართველოში აშშ-ს საელჩოს საქმიანობაში შეზღუდვებია. აღნიშნული ინფორმაციის გადასამოწმებლად „ინტერპრესნიუსი“ საელჩოს დაუკავშირდა, სადაც განმარტეს, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობა, აშშ-ს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, საქმიანობას განაგრძობს, თუმცა ცალკეული აქტივობები ლიმიტირებული იქნება.

„სახელმწიფო დეპარტამენტი და შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) ეროვნული უსაფრთხოების უწყებებია. ისინი აგრძელებენ მუშაობას შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესების გასატარებლად, მაგრამ ფედერალური მთავრობის ნაწილობრივი დახურვის გამო სახელმწიფო დეპარტამენტი ვალდებულია, მკაცრად შეამციროს ხარჯები. აშშ-ს საელჩო დგამს ნაბიჯებს ზოგიერთი სახის აქტივობის შესაზღუდად. თუმცა, მითითების თანახმად, გრძელდება აქტივობები, რომლებიც ეხება ამერიკის მოქალაქეთა დაცვას, ეროვნული ინტერესების განხორციელებას, აგრეთვე სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობებს,“ - განმარტავენ საელჩოში.

დიპლომატიური უწყების ინფორმაციით, დაფინანსების არარსებობის პერიოდში სახელმწიფო დეპარტამენტის მოქმედების გეგმის გაცნობა შესაძლებელია სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.state.gov.

გარდაცვლილი პატიმრის ოჯახი სოზარ სუბარის სენაკში ჩასვლას მოითხოვს

პირველი გვერდიდან

ვფიქრობთ, გამოძიების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია, ეს საქმე პროკურატურამ გამოიძიოს,“ - აღნიშნა კაციტაძემ.

ქუთაისის საპყრობილეში არასრულწლოვანის გარდაცვალების ფაქტს პრეზიდენტის ადმინისტრაციაც გამოეხმაურა.

ადმინისტრაციის უფროსმა ანდრო ბარნოვმა მთავრობას სოზარ სუბარის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების წინადადებით მიმართა.

ბარნოვის განცხადებით, ერთი მხრივ, არსებობს ოფიციალური ვერსია, რომლის თანახმად, ეს სუიციდია. ბარნოვის განმარტებით, სოზარ სუბარი იმ ფაქტებს ეყრდნობა, რაც მას სიტყვიერად აცნობეს, რადგან იქ არ ყოფილა და ჯერჯერობით არც გამოძიება ჩატარებულა.

„ამ საქმის შესახებ ორი ვერსია გვაქვს - ერთი არის სუიციდი, რასაც მინისტრი იმაზე დაყრდნობით ამბობს, რაც მას მოუყვნენ, რადგან ამ საკითხზე გამოძიება არ ჩატარებულა. შესაბამისად, არ გვაქვს საფუძველი, რომ ამ ვერსიას ვენდოთ. მეორეა გარდაცვლილის ოჯახის ვერსია, რომელიც ამბობს, რომ მათ პატიმარ შვილს გარკვეული კატეგორიის პატიმრებთან პრობლემები ჰქონდა, რასაც მინისტრიც ადასტურებს. საეჭვოა ის ფაქტი, რომ გარდაცვლილს ექსპერტიზა ისე ჩაუტარეს, მშობლებს არც კი შეატყობინეს და ამიტომ ისინი ხელახალ ექსპერტიზას ითხოვენ. ეს ხდება იმ პირობებში, როცა მთავრობა გვიმტკიცებს, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში სიტუაცია გაუმჯობესდა. ამიტომ მინდა, მოვუწოდო მთავრობას, დააყენოს მინისტრის პასუხიმგებლობის საკითხი - არა იმიტომ, რომ ეს ფაქტი ვერ აღკვეთა, არამედ იმიტომ, რომ საკითხს ზერელედ ეკიდება,“ - განაცხადა ანდრო ბარნოვმა.

მისივე თქმით, სოზარ სუბარის თანამდებობიდან გადაყენება მომავალი მინისტრებისთვის კარგი მაგალითი იქნება.

სასჯელაღსრულების მინისტრის განცხადებით კი, **„ერთი წლის განმავლობაში იმაზე ნაკლები პატიმარი გარდაიცვალა, ვიდრე ნაციონალების მმართველობის პერიოდში ერთ თვეში კვდებოდა.“**

მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ციხეებში თვეში საშუალოდ 10-12 ადამიანი კვდებოდა.

„პრაქტიკულად, სამ დღეში ორი ადამიანი კვდებოდა. მიმდინარე წელს ნაკლები ადამიანია გარდაცვლილი, ვიდრე საშუალოდ თვეში კვდებოდა. ეს არის რეალური სტატისტიკა. ეს ხდება იმის გამო, რომ პატიმრების მკურნალობა და მათ მიმართ ყურადღება გაიზარდა. თუ მანამდე ერთი ადამიანის მკურნალობაში 148 დოლარი იხარჯებოდა, ახლა 780 დოლარი იხარჯება. ესაა რეალური ცვლილება. ერთი წლის განმავლობაში იმაზე ნაკლები პატიმარი გარდაიცვალა, ვიდრე „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში საშუალოდ თვეში კვდებოდა. თუმცა, როცა ადამიანის სიკვდილზე ვსაუბრობთ, სტატისტიკით ვერ შემოვიფარგლებით. თითოეული ამბავი ცალკე ტრაგედიაა,“ - განაცხადა სუბარმა.

გარდაცვლილი პატიმრის მამა კი დარწმუნებულია, რომ მის შვილს თავი არ მოუკლავს. როგორც თენგიზ ძველაია „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში ამბობს, ქუთაისის ციხეში გადაყვანისას შვილმა უამბო, რომ ერთ-ერთ პატიმართან, რომელიც ციხის „მაყურებელი“ იყო, უთანხმოება ჰქონდა.

„როდესაც გოგა ქუთაისში ციხეში გადაყავდათ, მითხრა, მამა, იქ პრობლემები მაქვსო. ვკითხე, რა ხდება-მეთქი, არადა, ვფიქრობდი, ქუთაისი უფრო ახლოს არის და შვილს უფრო ხშირად ვინახულებთ მეთქი... ჩხუბი მოგვივიდა და ერთ-ერთს ყბა გავუტეხე, ის კი იმ ახალ „ზონაში“ „მაყურებელია“ და ვიცი, მასთან კონფლიქტი გაგრძელდებაო. მაინტერესებს, დაახლოებით, დღის სამ-ოთხ საათზე მიყვანილ ჩემს ბავშვს რა დაემართა ისეთი, რომ რამდენიმე საათში, მეორე დილას თავი მოიკლა... თანაც, ციხის უფროსის სახელზე განცხადება დაწერა, ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და გთხოვთ, ცალკე კამერაში მომათავსოთო. მოათავსეს კიდეც ცალკე კამერაში ანუ ციხის უფროსიც იყო საქმის კურსში, თუ რა ხდებოდა პატიმრებს შორის და რატომ არაფერი შეგვატყობინეს ან რამე ზომები რატომ არ მიიღეს?“ - ამბობს გარდაცვლილის მამა.

ამავე ინტერვიუში თენგიზ ძველაია განმარტავს, რომ მისი შვილი ჯერ შემოაკვდათ და შემდეგ „ჩამოკიდეს“.

„ეს პატიმრები ციხის ხელმძღვანელობას ხომ აბარია, განა მათ არ უნდა აგონ პასუხი? თუ ციხის უფროსს მხოლოდ ხელფასის აღება ევალება?.. გოგა ჯერ მოკლეს და შემდეგ ჩამოკიდეს. მე ვნახე ჩემი შვილის ცხედარი. მე მას ვიცნობდი, ჯერ კიდევ ბავშვი იყო და ისე წვრილად, პროფესიონალურად ვერაფრით დაახვევდა ზეწარს, ისეთი წვრილი ზოლი აქვს ყელზე, მოუკვდეს მამა... ეტყობა, ჯერ შემოაკვდათ და შემდეგ ჩამოკიდეს... არ ვიცი, პატიმრებს შემოაკვდათ თუ ვის, მაგრამ ჩემი შვილი თავს არ მოიკლავდა,“ - ამბობს თენგიზ ძველაია.

ცნობისათვის - 16 წლის არასრულწლოვანი გოგი ძველაია ქუთაისის მე-2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 8 ოქტომბერს გარდაიცვალა. სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, პატიმარმა თავი მოიკლა.

სოზარ სუბარის განცხადებით, ქურდობის ბრალდებით დაკავებული 16 წლის სენაკელი ბიჭი საპატიმროში 24 საათის შეყვანილი იყო.

კომიტეტები მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს განიხილავენ

ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი თაბუაშვილმა გუშინ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, ასევე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტებს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი წარუდგინა.

პროექტის მიხედვით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება 91 მილიონ 100 ათასი ლარით გაიზრდება და 764 მილიონ 300 ათასი ლარი იქნება. მათ შორის, ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსება 30 მილიონი ლარით იზრდება და 410 მილიონ ლარს შეადგენს. პროფესიული განათლების მიმართულებით 23 მილიონი ლარია გათვალისწინებული, ამ თანხით სახელმწიფო პროფესიული განათლების დაფინანსებას უზრუნველყოფს. სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების, დოქტურანტურის პროგრამისა და სტუდენტების წახალისებისთვის 76 მილიონი ლარი მიიმართება. სკოლებში (ისეთ სოფლებში, სადაც სკოლამდე მისასვლელი გზა შორია) ტრანსპორტირების ხარჯების დასაფინანსებლად 10 მილიონ ლარამდე გამოიყოფა. საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაციისთვის 61,7 მილიონი ლარია განსაზღვრული, მათ შორის ასევე გათვალისწინებულია ახალი პროფესიული სასწავლებლების დაფუძნება. **ამა თუ იმ სფეროს დაფინანსებაზე მოთხოვნა გაცილებით მეტია, მაგრამ რესურსი შეზღუდულია და თანხების მიმართვის თვალსაზრისით პრიორიტეტები ამის შესაბამისად განისაზღვრა,“** - ამბობს მომხსენებელი.

კომიტეტის წევრები ითხოვენ, რომ საბიუჯეტო სახსრები უფრო მეტად მეცნიერების განვითარების, პროფესიულ სასწავლებლებში სტუდენტების საგრანტო სისტემით დაფინანსების და რეგიონული კულტურული პროექტების მხარდაჭერისთვის მიიმართოს. **მეცნიერების განვითარებას ჩვენს ქვეყანაში ხელშეწყობა სჭირდება და ამისთვის ფინანსების მობილიზებაა საჭირო,“** - აღნიშნავს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კიღურაძე.

ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, სპორტული ობიექტების რეაბილიტაციისთვის 6 მილიონ 500 ათასი ლარია გათვალისწინებული. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრების შეკითხვები, ძირითადად, 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიადის ღონისძიებების ორგანიზების, დაგეგმვისა და ჩატარებისთვის საჭირო დაფინანსებას ეხებოდა. პარლამენტარებმა ფინანსთა სამინისტროს თხოვნით მიმართეს, სპორტული კომპლექსების რეაბილიტაციისა და აღჭურვისთვის დამატებით 23 მილიონი ლარის მობილიზება მოახდინოს.

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის წევრებმა ასევე განიხილეს საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა წარადგინა. მისი თქმით, პროგრამის მიხედვით, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბება და ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაა საჭირო.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვა". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

უარი უშიშროების საბჭოს

პირველი გვერდიდან

უსუფაშვილს მიაჩნია, რომ ეს სხდომა, ასევე იქნება სერიოზული სახელმწიფოებრივი საკითხებისადმი (მცოცავი ოკუპაცია, მოქალაქეების უსაფრთხოება) არასერიოზული დამოკიდებულების დემონსტრირება. **ამის სურვილი არ მაქვს, ვერ გეახლებით და თავადაც გირჩევთ, დაფიქრდეთ...“** - მიუთითებს წერილში დავით უსუფაშვილი.

მოგვიანებით, უსუფაშვილი პრეზიდენტის ინიციატივას კიდევ ერთხელ გამოეხმაურა. **მიხეილ სააკაშვილთან წარმოდგენილ თემებზე ნებისმიერი საუბარი არის არა უშიშროების საბჭოზე მისვლა, არამედ საშიშროების საბჭოში მონაწილეობა,“** - უთხრა ჟურნალისტებს უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარე წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ, მისი აზრით, მიხეილ სააკაშვილმა თავისი პრეზიდენტობის მეორე ვადა ბოლომდე ღირსეულად ვერ მიიყვანა. **„დღევანდელი მოვლენა სწორედ ამის მკაფიო გამოხატულებაა. მართლაც, საგანგაშოა ის ყველაფერი, რაც მისი მხრიდან ხდება. ძალიან ვწუხვარ, რომ მის გაუაზრებელ ქმედებებში და გადაწყვეტილებებში ჩართულია ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიც არის ოკუპაცია, ქვეყნის უსაფრთხოება. ის და მისი გარემოცვა ვერ ახერხებს შეჩერებას, რომ ასეთი სერიოზული საკითხების მიმართ ესოდენ არასერიოზული დამოკიდებულებები არ გამოვლინდეს. არაერთხელ განმიცხადებია, რომ რაც უფრო მეტად ახლოვდება დღე, როცა პრეზიდენტი შეიცვლება, სააკაშვილის მხრიდან არაადეკვატური გადაწყვეტილებები და მოქმედებების საფრთხე მით უფრო მეტად იზრდება, თუმცა ქვეყანას პასუხისმგებლობის მქონე მთავრობა ჰყავს, რომელსაც შესწევს ძალა, ამ პრობლემას მარტივად გაუმკლავდეს,“** - აღნიშნავს უსუფაშვილი.

პარლამენტის თავმჯდომარისგან განსხვავებული პოზიცია აქვთ იმ დეპუტატებს, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოში საერთაშორისო მიმართულების კომიტეტებს ხელმძღვანელობენ. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე მცოცავი ოკუპაციის საკითხზე პრეზიდენტის მიერ უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევას მხარს უჭერს. **„ეს სხდომა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იქნება. უშიშროების საბჭოს გამართული ფუნქციონირება ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით - საქართველოსთვის. ამ შემთხვევაში საქმე ეხება ოკუპირებულ ტერიტორიებსა და იმ მოვლენებს, რომლებიც ბოლო პერიოდში ვითარდება. ასე რომ, მხარს დავუჭერდი და მივესალმებოდი ამ წინადადებას,“** - თქვა ჯაფარიძემ.

პრეზიდენტის ინიციატივა ასევე პოზიტიურად შეაფასა პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ვიქტორ დოლიძემ. მისი აზრით, მცოცავი ოკუპაციის საკითხზე, უშიშროების საბჭოს სხდომის ფორმატში მსჯელობის გარდა, ქართულმა მხარემ დიპლომატია უნდა გააქტიუროს.

„მგონი, საეჭვო არ არის, რომ ასეთი საკითხების შესახებ ოპოზიციას და ხელისუფლებას ერთნაირი პოზიცია აქვთ. ამიტომ, ნებისმიერ კონსულტაციას, იქნება ეს უშიშროების საბჭო სხდომის ფორმატი თუ სხვა, დადებითად ვაფასებ,“ - აღნიშნა ვიქტორ დოლიძემ.

კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი კი პრიორიტეტულ საკითხად საარჩევნო პროცესის მშვიდობიანად დამთავრებას მიიჩნევს. **„იმ ვითარებაში, როდესაც მიმდინარეობს პოლიტიკური კამპანია, როცა უაღრესად დაძაბული ვითარებაა, როცა მოქმედი პრეზიდენტი აცხადებს, რომ რეალურად ოპოზიციაშია თავის ქვეყანასთან, ჩემი აზრით, უშიშროების საბჭოს სხდომა პოზიტიურ შედეგს ვერ მოიტანს. შესაბამისად, მგონია, რომ ამ ვითარებაში მთავარია საარჩევნო პროცესის მშვიდობიანად მიყვანა ბოლომდე,“** - აღნიშნა მარგველაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის მხრიდან უშიშროების საბჭოს სხდომაში მონაწილეობაზე უარს ანდრო ბარნოვი აფასებს. **გვემალებიან, რადგან იციან, რომ ისეთ გზას შევთავაზებთ, რომლის შესრულების არც თავი, არც პასუხისმგებლობა, არც გამბედაობა და არც სინდისი არ ჰყოფნის ამ მთავრობას. ჩვენ მათ რინგზე არ ვეძახით, არამედ საერთო სივრცეში სათანამშრომლოდ ვიწვევთ და შრომაში გვემალებიან, ეს არის მთელი უბედურება,** - შენიშნავს ანდრო ბარნოვი და განაგრძობს, - **სატირალი რომ არ იყოს, სასაცილო იქნებოდა, რომ პრეზიდენტის იმ ხედვას, რომელსაც გაერო-ში მთელი მსოფლიო ტაშს უკრავდა, ეს ხალხი მასკარადს უწოდებს. იმ უსუსურ ბლუყუნს, რომ ომი საქართველომ დაიწყო, საქმიან მიდგომას ეძახიან. ეს სადამდე მიიყვანს ქვეყანას, სჯობს ჩვენმა მოსახლეობამ მალე განსაჯოს, რადგან მართლა დიდი საფრთხის წინაშე ვდგებით ყველა.“**

ბარნოვის თქმით, პრეზიდენტს უშიშროების საბჭოს მოწვევა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მთავრობასთან სინქრონიზებული მუშაობისთვის სურდა, თუმცა მათ მორიგი უარი თქვეს.

საკუთარი ინფორმაცია

ეკონომიკის სამინისტროს ბიუჯეტის შემცირებას ფრანგულ ვერტმფრენებს უკავშირებენ

2014 წლისთვის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაფინანსების შემცირებას ფინანსთა სამინისტრო ფრანგული ვერტმფრენების შეძენით და ზემო სვანეთის სათხილამურო ინფრასტრუქტურის მოწყობით ხსნის.

2014 წლის ბიუჯეტის პროექტით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბიუჯეტი 25 მლნ ლარის მოცულობით განისაზღვრება.

როგორც ფინანსთა სამინისტრო განმარტავს, 2013 წლის ბიუჯეტთან შედარებით 57.0 მლნ ლარის სხვაობა გამოწვეულია ორი გარემოებით. აქედან ერთია ის, რომ საფრანგეთის სასაქონლო დახმარების ფარგლებში, მიმდინარე წელს 30.0 მლნ ლარი გათვალისწინებულია ვერტმფრენების შეძენისთვის, ხოლო მომდევნო წელს ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტი თანხებს არ მიმართვს.

რაც შეეხება ზემო სვანეთის სათხილამურო ინფრასტრუქტურის მოწყობას, აღნიშნული პროექტი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განკარგვაში გადავიდა და შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2014 წლის ბიუჯეტი ამ ნაწილში 27.5 მლნ ლარით ნაკლებია 2013 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

„სათანადო თანხები ასახულია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებებში. ამასთან, პროექტის ფარგლებში თანხების უდიდესი ნაწილის ათვისება წელსვე მოხდება და 2014 წელს გათვალისწინებულია მხოლოდ 8.6 მლნ ლარი,“ - განმარტავს ფინანსთა სამინისტრო, რომლის მტკიცებით, „ეკონომიკის სამინისტროს ბიუჯეტი, ფაქტობრივად, დაგეგმილია იმავე მოცულობით, რაც მიმდინარე წელს“.

„პროტესტი სოჭის ოლიმპიადას„ - 7 000-ზე მეტი ხელმომწერი

სოჭის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტირების საკითხზე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ პეტიციას ამ დროისათვის 7 000-ზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. ონლაინპეტიციის ხელმომწერები საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ლერი ხაბელოვსა და სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრ ლევან ყიფიანს მიმართავენ და სოჭის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლისკენ მოუწოდებენ.

პეტიცია არასამთავრობო ორგანიზაციების - «საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსა» და «სამართლიანი არჩევნების» ორგანიზებით შემუშავდა. ხელმოწერების შეგროვება 8 ოქტომბერს დაიწყო.

ამასთან, სავარაუდოდ, სოჭის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტირების მოთხოვნით მშვიდობიანი აქციის ჩატარება დაიგეგმება.

აღნიშნულ საკითხზე საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა სოციალური ქსელის მეშვეობით კომენტარი გააკეთა. დეპუტატმა რამდენიმე მიზეზი ჩამოთვალა, თუ რატომ უნდა მიიღოს მონაწილეობა საქართველომ სოჭის ოლიმპიურ თამაშებში.

ხიდაშელის განმარტებით, ოლიმპიადის ბოიკოტს შეუძლია, რუსეთთან ურთიერთობაში მთავარი იარაღი წაგვართვას. დეპუტატის აზრით, ბოიკოტის შემთხვევაში საქართველო საკუთარ პროტესტსა და ბოიკოტში მარტო დარჩება.

„რატომ უნდა წავიდეთ სოჭში:

ერთი შეხედვით, მარტივი და უალტერნატივო გადაწყვეტილებაა - ბოიკოტი გამოვუცხადოთ სოჭის ოლიმპიურ თამაშებს.

წარმოიდგინეთ, საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ჩადის დიცში, არის ბევრი დროშა, დიდი ტრიბუნა, ბევრი ადამიანი და „აგვისტოს ომის გმირის“ მიერ ოლიმპიური ჩირაღდნის აღმართვას პროტესტს უცხადებს. ხოლო პროტესტის ფორმა, არც მეტი, არც ნაკლები, ოლიმპიადის ბოიკოტია. ბევრი შეძახილი, მქუხარე ტაში, ემოცია, ცრემლი, ათასი ეპითეტი გიორგის გმირობის და გამბედაობის შესახებ. სავარაუდოდ, გაზრდილი რეიტინგი.

სკეპტიკოსები იტყვიან - თავიდანვე რატომ არ გამოუცხადეთ ბოიკოტიო. მაგრამ მაინც კმაყოფილები დარჩებიან, საქციელს მოგვიწონებენ.

ერთი-ორი დღე ყველა ტელეეკრანიდან სჯა-ბაასის, ექსპერტული მოსაზრებების, ანალიზის, კრიტიკის, ცინიზმის, პატრიოტიზმის, ვაშა-ვაშას ან ვიშ-ვიშის სერიალი იქნება. შემდეგ ეს ამბავი ყველას ისევე მიავიწყდება, როგორც სხვა მრავალი. მერე კიდევ ვინმე მფრინავი გამოჩნდება ან მომღერალი, ანდაც რუსი შოვინისტი, ისევ გადავირევით, პატრიოტიზმი მოგვეძალება, გულზე მჯიღს დავიცემთ, ატყდება აურზაური და ასე მუდმივად.

არადა, თუ მცირე ხნით გვერდზე გადავდებთ ემოციებს, ურა-პატრიოტიზმს, მცირე ხნით თუ შევეცდებით სხვა რამეზეც ვიფიქროთ, გარდა იმ წუთიერი ემოციური კმაყოფილებისა, გაგვახსენდება, რომ გუშინ ვიღაც მფრინავმა, დიახ, ვიღაც მფრინავმა ისე აგვაღელვა, რომ ხელისუფლებას მრავალჯერ გაცხადებული გადაწყვეტილების შეცვლა მოვთხოვეთ, ამ აღელვებაში კი დაგვავიწყდა, რომ ეს ოლიმპიადა ოკუპანტი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტარდება, აფხაზეთიდან სულ რამდენიმე კილომეტრში, მას ვლადიმირ პუტინი გახსნის და მის გვერდით მსოფლიო ლიდერები იქნებიან. ეს „არა სოჭის ოლიმპიადას“ კი დღეს ძალიან არასერიოზულად და ჭეშმარიტად „გულის მოფხანად“ გამოიყურება, რატომ გუშინ? რა იყო მთავარი არგუმენტები?

რუსეთი დაგვცინის! მათ ცინიზმს საზღვარი არა აქვს! ამ დაცინვას არ უნდა შევეგუოთ! და ა.შ.

მე კი თუ ვიტყვი, რომ ეს სრულიად უადგილოა, რა თქმა უნდა, ფსიქიატრიულის ცნობას მომთხოვენ ან, უკეთეს შემთხვევაში, იმას იტყვიან, რაც გუშინ ჩემი მეგობარი პაატა ზაქარეიშვილის მიმართ არ დაიშურეს და კიდევ ერთხელ შეახსენეს ერთმანეთს ჩვენი ცნობილი მოღალატეობის ამბავი.

არადა, უადგილოა.

რუსეთს ჩემი სამშობლოს მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებული აქვს, მეგობრებო, ოკუპირებული, ჩემს სამშობლოში რუსული დროშები ფრიალებს და რუსული ტანკები დგანან!!!

გახსოვს?!

რა დროს ცინიზმი და დაცინვაა, მათი ტანკები დგანან ჩვენს მიწაზე. ტანკები!

დიახ, იდეალური იქნებოდა, საქართველოს ოკუპაციის გამო მოსკოვის ოლიმპიადის გამეორება რომ შეიძლებოდეს, იდეალური და სწორი.

არ გამოვა. საქართველო მარტო დარჩება ამ ბოიკოტში, თავისი პარტნიორების გარეშე, რუსეთის პირისპირ. მაშინ კი დაცინვა საფუძვლიანი იქნება. სოჭის ბოიკოტს შეუძლია, მთავარი იარაღი წაგვართვას რუსეთთან ურთიერთობაში. პირველად, ამ წლების მანძილზე, საქართველო დარჩება მარტო საკუთარ პროტესტსა და ბოიკოტში, თუმცა კი გულში მჯიღდაცემული და კმაყოფილი. არჩევანი ჩვენზეა,“ - წერს ხიდაშელი.

ჟურნალ „ტაბულას“ რედაქტორი თამარ ჩერგოლეიშვილი კი სოციალურ ქსელში იმის შესახებ წერს, თუ რას მოიგებს საქართველო ბოიკოტის გამოცხადებით. მისი თქმით, ყველა, ვინც ოლიმპიადის ისტორიით დაინტერესდება, გაიგებს, რომ 2014 წლის ოლიმპიურ თამაშებს საქართველომ ბოიკოიტი გამოუცხადა, რადგან რუსეთს საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებული აქვს.

„რა შეიძლება მივიღოთ, თუ ბოიკოტს გამოვაცხადებთ - ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ოლიმპიადით და ოლიმპიადის ისტორიით დაინტერესდება, საქართველოს შესახებაც შეიტყობს. წაიკითხავს და მოისმენს, რომ საქართველომ ბოიკოტი გამოუცხადა მოსკოვის 2014 წლის ოლიმპიურ თამაშებს, იმიტომ რომ რუსეთს საქართველო ოკუპირებული აქვს და ნახევარი მილიონი ქართველი - სახლიდან გამოგდებული,“ - განმარტავს თამარ ჩერგოლეიშვილი.

ამასთან, ჟურნალ „ტაბულას“ რედაქტორი ოლიმპიადაში მონაწილეობის მომხრეებს კითხვით მიმართავს.

თქვენ თუ მეტყვით, რომ საქართველოს პრობლემის - რუსული ოკუპაციის - შესახებ ყველა იმ ადამიანის ინფორმირება, ვისაც ოლიმპიადა აინტერესებს, უმნიშვნელოა, ისიც მითხარით, რა უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს იმას, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანა აღმოჩნდა, რომელმაც პუტინის ოლიმპიადას ბოიკოტი გამოუცხადა. რას დავკარგავთ ამით,“ - წერს ჩერგოლეიშვილი.

ცნობისათვის, სოჭის ოლიმპიადის ერთ-ერთი მეჩირაღდნე 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილე, რუსი სამხედრო მფრინავი ივან ნიჩაევი იქნება.

ამ ფაქტს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი პროვოკაციად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ საქართველომ ოლიმპიადისკენ მშვიდობიანი სვლა უნდა განაგრძოს. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი კი მეჩირაღდნედ რუსული ბომბდამშენის მფრინავ ივან ნიჩაევის დასახელებას გაუგებრობას უწოდებს და იმედოვნებს, რომ **ოლიმპიადამდე დარჩენილ პერიოდში ამგვარი გაუგებრობები არ მოხდება და არ მოგვიწევს 2013 წლის 2 მაისის სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა.“** საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ლერი ხაბელოვის თქმით, **თუ პოლიტიკურ თამაშში გადაიზრდება, ვგულისხმობ შემდგომ სვლებს, მაშინ შეიძლება, გადაიხედოს. ახლა ეს არ არის საფუძველი, რომ ჩვენ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა არ მივიღოთ.**

რუსული სააგენტო Lenta.ru საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადებას ასეთი სათაურით ეხმაურება - **„საქართველომ რუსეთს მეჩირაღდნე - სამხრეთ ოსეთის ომის გმირი აპატია.“**

ამერიკა ეგვიპტეს სამხედრო დახმარების ნაწილს უწყვეტს

ამერიკელმა მაღალჩინოსანმა „სი-ენ-ენ“-ს განუცხადა, რომ უახლოეს დღეებში ამერიკა ეგვიპტის დახმარების შესახებ განცხადებას გააკეთებს. ოფიციალური პირის თქმით, ამერიკა ეგვიპტეს სამხედრო დახმარების დიდ ნაწილს შეუწყვეტს. ეს კი გამოწვეულია ივლისში არმიის მიერ მოქმედი პრეზიდენტის მოჰამედ მურსის თანამდებობიდან ჩამოგდებით. მურსის გადაყენების შემდეგ ეგვიპტეში მისი მხარდამჭერების გამოსვლები არ ცხრება. უსაფრთხოების ძალებსა და მურსის მხარდამჭერებს შორის ცოტა ხნის მომხდარ შეტაკებას ათობით ადამიანი ემსხვერპლა. თუმცა, ამერიკა კვლავ განაგრძობს ეგვიპტის დახმარებას კონტრტერორიზმისა და სინას ნახევარკუნძულზე უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, სადაც ივლისის მოვლენების შემდეგ შეიარაღებული მებრძოლები გააქტიურდნენ. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წარმომადგენელმა კეტლინ ჰეიდენმა კი აღნიშნა, რომ ეგვიპტის დახმარების შესახებ ამერიკა განცხადების გაკეთებას მართლაც გეგმავს, თუმცა ამერიკა ეგვიპტისთვის «სამხედრო დახმარების სრულად შეწყვეტას არ აპირებს.“

«მი-5″-ის ხელმძღვანელი ისლამისტებიდან მომავალ საფრთხეზე საუბრობს

ბრიტანეთის დაზვერვის სამსახურის «მი-5“-ის უფროსი ენდრიუ პარკერი ცოტა ხნის წინ პირველად გამოვიდა საჯაროდ. მისი თქმით, «ალ ქაიდა“ და მასთან დაკავშირებული დაჯგუფებები იემენსა და პაკისტანში «დიდი ბრიტანეთისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენენ.“ პარკერმა ასევე იმ სერიოზულ ზიანზე ილაპარაკა, რომელიც ბრიტანეთისა და ამერიკის დაზვერვის სამსახურების საიდუმლო პროგრამების გამომჟღავნებას მოჰყვა. მისი განცხადებით, დიდი ბრიტანეთის საფრთხეები სხვადასხვაგვარია, თუმცა «ფაქტია, რომ დიდ ბრიტანეთში მყოფი რამდენიმე ათასობით ისლამისტი ბრიტანელ ხალხს ლეგიტიმურ სამიზნედ განიხილავს.“ პარკერის თქმით, «ალ ქაიდა“ და მისი მოკავშირეები სამხრეთ აზიასა და არაბეთის ნახევარკუნძულზე დიდი ბრიტანეთისთვის უშუალო საფრთხეს წარმოადგენენ.“ მისი თქმით, 2001-2013 წლებში დიდ ბრიტანეთში ტერორიზმში 330 ადამიანი დაადანაშაულეს.

ავღანეთის თალიბანი: პაკისტანს მოძრაობის ყოფილი მეორე პირი კვლავ დაპატიმრებული ჰყავს

ოთხშაბათს ავღანეთის «თალიბანმა“ განაცხადა, რომ პაკისტანს ჯერ კიდევ არ გაუთავისუფლებია მოძრაობის ყოფილი ნომერ მეორე პირი მოლა ბარადერი. ბარადერის გათავისუფლებას პაკისტანი «თალიბანს» ადრე დაჰპირდა. ამ დროისათვის ბარადერი ჯანმრთელობის გაუარსებული მდგომარეობით ციხეში იმყოფება. ბარადერის გათავისუფლებას ავღანეთში ბევრი განიხილავს, როგორც «თალიბანთან» სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყების ერთ-ერთ მთავარ პირობას. «სამწუხაროდ, ის კვლავ ციხეში იმყოფება. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კი დღითიდღე უარესდება,“ - განაცხადა «თალიბანის» წარმომადგენელმა ზაბუჰულა მუჯაჰიდმა.

იტალიის პრეზიდენტმა ბერლუსკონის ამნისტიაზე უარი თქვა

იტალიის პრეზიდენტმა ჯორჯო ნაპოლიტანომ განაცხადა, რომ ქვეყნის ყოფილ პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის ამნისტიის იმედი არ უნდა ჰქონდეს. აღნიშნულის შესახებ «კორიერე დელა სერა“ იუწყება. იტალიის პრეზიდენტმა ყოფილი პრემიერისთვის სასჯელის შესაძლო შეცვლა კატეგორიულად უარყო. ცნობისათვის - სილვიო ბერლუსკონის ფინანსური მაქინაციების საქმის გამო ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ირანი «ჟენევა 2″-ზე დასასწრებად ამერიკის პირობებს უარყოფს

ირანული მედიის ცნობით, ირანი სირიის კონფერენციაში მონაწილეობისთვის ნებისმიერ პირობას უარყოფს. ორშაბათს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი უფრო გახსნილი იქნება სირიის თემაზე სამშვიდობო კონფერენციაში ირანის მონაწილეობის მიმართ, თუ ეს ქვეყანა 2012 წელს გაკეთებულ განცხადებას მხარს დაუჭერს. 2012 წლის ივნისში მიღებულ «ჟენევის კომუნიკეში“ გაკეთებულია მოწოდება გარდამავალი მთავრობის შექმნისკენ, თუმცა ღიად რჩება საკითხი, თუ როდის უნდა დატოვოს ასადმა ხელისუფლება. შეთანხმებაში ნათქვამია, რომ გარდამავალი მთავრობა დამასკომ და ოპოზიციამ ერთხმად უნდა აირჩიონ. «თუ ჩვენი მონაწილეობა პრობლემის გადაწყვეტას ემსახურება, მაშინ ნებისმიერი პირობის წარმოყენება მიუღებელია და ჩვენ ამ პირობებს არ ვღებულობთ,“ - განაცხადა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის წარმომადგენელმა მარზიე აფხამმა. სირიის შესახებ წინა კონფერენციაში ირანი არ მონაწილეობდა. სირიაში კონფლიქტი 2011 წლის მარტში დაიწყო, რასაც, გაეროს მონაცემებით, 110 000 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა.

ისრაელი განიარაღების კომიტეტში ირანელის დანიშვნით აღშფოთებულია

ისრაელის ხელისუფლებამ განიარაღებისა და უსაფრთხოების საკითხებზე გაეროს კომიტეტში ირანის წარმომადგენლის დანიშვნა დაგმო. გაეროში ისრაელის ელჩმა რონ პროზორმა ორგანიზაციის გენერალურ მდივან ბან კი მუნს წერილი მისწერა, სადაც აღნიშნულია, რომ არ შეიძლება, განიარაღების საკითხებზე გაეროს კომიტეტში იმ ქვეყნის დაშვება, რომელიც ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობაშია ეჭვმიტანილი. ელჩის თქმით, ირანის ამ კომიტეტში დაშვება იგივეა, რომ «ნარკობარონი ფარმაცევტული კომპანიის დირექტორად დანიშნონ.“ ირანის წარმომადგენელი აღნიშნულ კომიტეტში მომხსენებლის პოზიციაზე დაინიშნა. მომხსენებლის ფუნქციებში კომიტეტისგან გაეროს გენერალური ასამბლეისთვის განიარაღებისა და შეიარაღების შესახებ ინფორმაციებისა და მოხსენებების გადაცემა შედის.

მოამზადა თამთა კახაძემ

ობამა რესპუბლიკელებს აკრიტიკებს და კონგრესს მოქმედებისკენ მოუწოდებს

თამთა კახაძე
ივა შილაკაძე

ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას განცხადებით, იგი ქვეყნის ბიუჯეტში შესაძლო ცვლილებების შეტანის შესახებ რესპუბლიკელებთან მსჯელობისთვის მზად არის, თუმცა მანამდე ამ უკანასკნელებმა ქვეყნის ეკონომიკის საფრთხის ქვეშ დაყენება უნდა შეწყვიტონ. გასულ კვირას ამერიკის სახელმწიფო დაწესებულებების ნაწილი იძულებით დაიხურა იმის გამო, რომ წარმომადგენელთა პალატამ სენატის მიერ მიღებული ბიუჯეტი არ დაამტკიცა. ობამა სამშაბათს წარმომადგენელთა პალატის სპიკერ ჯონ ბონერს ესაუბრა. ობამა მზად არის, ბიუჯეტის, ასევე სხვა თემების შესახებაც მოლაპარაკებები რესპუბლიკელებისთვის ნებისმიერ სასურველ დროს განაახლოს, თუ ისინი ამერიკის ვალის ზედა ზღვრის გაზრდას არ შეეწინააღმდეგებიან. «მე ყველაფერზე შემიძლია ვისაუბრო,“ - აღნიშნა ობამამ. თუმცა, ბონერმა განაცხადა, რომ ობამას, ფაქტობრივად, ახალი არაფერი უთქვამს: «ეს ის გზა არ არის, რომლითაც ჩვენი მთავრობა მუშაობს,“ - აღნიშნა წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა და დასძინა, რომ დიდი იმედი აქვს, დემოკრატები და რესპუბლიკელები მალე დაიწყებენ «საუბარს.“

აშშ-ს პრეზიდენტმა რესპუბლიკელების მოქმედებას, როდესაც ისინი ვალის ზედა ზღვრის გაზრდის საკითხს პოლიტიკურ ბრძოლაში ინსტრუმენტად იყენებენ, გამომძალველობა უწოდა. მან ვრცლად ისაუბრა იმ «სიგიჟეზე,» «კატასტროფაზე» და «ქაოსზე», რაც ამერიკას იმ შემთხვევაში ელოდება, თუ 17 ოქტომბრამდე ვალის ზედა ზღვარი არ გაიზრდება და აშშ დეფოლტის წინაშე აღმოჩნდება. ობამამ უორენ ბაფეტის სიტყვებიც მოიყვანა, როდესაც ამ უდიდესმა ამერიკელმა ინვესტორმა ასეთი სცენარის სავარაუდო ეკონომიკური შედეგები ბირთვული ბომბის აფეთქებას შეადარა. რამდენადაც გვახოვს, ეს იყო ორი წლის წინ ანალოგიური კრიზისის დროს. «ვალის ჭერის» ძველ ნიშნულზე დატოვება მათ შორის გამოიწვევს ამერიკისთვის კრედიტების გაძვირებას და მის მიმართ ნდობის შემცირებას, აქედან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით. ამ კრიზისის შესაძლო შედეგების შესახებ ვრცელ ანალიტიკურ მასალას «24 საათის» ყოველკვირეულ დამატება «Weekend»-ში შემოგთავაზებთ.

ობამამ განაცხადა, რომ უბრალო ამერიკელები ულტიმატუმებს მხოლოდ იმის გამო არ აყენებენ, რომ ისინი საკუთარ მოვალეობებს ასრულებენ. მან კონგრესს საკითხის კენჭისყრაზე დაყენებისკენ კვლავ მოუწოდა, რადგან ამერიკის კრედიტორები ყურადღებას აქცევენ კონგრესის მოქმედებებსაც და არა მხოლოდ პრეზიდენტის სიტყვებს იმის შესახებ, რომ აშშ თავის ვალებს ყოველთვის იხდიდა და გადაიხდის.

აშშ-მ სესხის ზედა ზღვარს ჯერ კიდევ ივნისში მიაღწია. უბრალოდ, მთავრობას აქამდე ფული ჰქონდა და თავის ფინანსურ ვალდებულებებს ისტუმრებდა, 17 ოქტომბრისთვის კი ეს რეზერვები იწურება.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს გარდა, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომაც იპოვა საბაბი დროებით შვებულებაში გაშვებული თავისი თანამშრომლების უმრავლესობის სამუშაო ადგილებზე დასაბრუნებლად. მათი აზრით, მოხერხდა იმის დასაბუთება, რომ ეს აშშ-ს უსაფრთხოებას ვნებს. ამ თანამშრომლების არყოფნა სადაზვერვო ინფორმაციის შეკრებას და გაანალიზებას, უცხოეთში საიდუმლო ოპერაციების ჯეროვნად განხორციელებას და კონტრდაზვერვას ხელს უშლიდა.

პროგნოზირებადი არჩევნები აზერბაიჯანში

პირველი გვერდიდან

2009 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად აზერბაიჯანში ერთ ადამიანს უფლება აქვს, ქვეყნის მეთაურის თანამდებობაზე კენჭი იყაროს ზედიზედ იმდენჯერ, რამდენჯერაც მოისურვებს. ფორმალურად, ქვეყნის პრეზიდენტი შეიძლება, ნებისმიერი მოქალაქე გახდეს, რომელიც ბოლო 10 წელია, სამშობლოში ცხოვრობს, აქვს უმაღლესი განათლება, არ არის ნასამართლევი მძიმე ბრალდებით და არა აქვს ვალდებულებები სხვა სახელმწიფოების მიმართ, მათ შორის არც ორმაგი მოქალაქეობა.

ილჰამ ალიევმა ეს პოსტი მამისგან გადაიბარა, რომელიც ქვეყანას, მანამდე კი მოკავშირე რესპუბლიკას მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან მართავდა. მართალია, ჰეიდარ ალიევს, დაახლოებით, 10 წლიანი შესვენებაც ჰქონდა, როდესაც მოსკოვში დააწინაურეს და სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნეს. მხოლოდ ეს ფაქტიც კი ნებისმიერ მკითხველს მსოფლოში, მასც კი, ვინც პოსტსაბჭოთა სივრცის აზიური ქვეყნების სპეციფიკას არ იცნობს, რეალობას ნათლად აჩვენებს. მით უმეტეს, მეზობელ საქართველოში არავის ეპარება ეჭვი, რომ აზერბაიჯანში ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლაზე განჭვრეტად მომავალში ლაპარაკი არ იქნება.

ნავთობის და გაზის საბადოებიდან მიღებული შემოსავლის წყალობით სამხრეთ კავკასიაში ყველაზე დიდი სახელმწიფოს მთლიანი შიდა პროდუქტი ბოლო 10 წელიწადში სამჯერ გაიზარდა. მართალია, ფულის დიდ ნაწილს კორუფცია ნთქავს, მაგრამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობაც. ამას გარდა, ქვეყანაში ოპოზიციას სერიოზული გასაქანი არს აქვს. გართულებულია ქუჩის აქციების მოწყობა, დამოუკიდებელი მედიის მუშაობა, ბოლო პერიოდში სერიოზულად გაიზარდა ჯარიმები არასანქცირებული აქციების მოწყობისთვის (10 ათასი დოლარის ეკვივალენტამდე), არჩევნების წინ გაორმაგდა პოლიტპატიმრების რიცხვი. ამ ყველაფრის გამო ხალხი საპრეზიდენტო „არჩევნებს“ შიშისა და აპათიის ნარევი გრძნობით ხვდებოდა. დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ ჯერ ევროპას აზერბაიჯანის არჩევნები არ შეუფასებია, როგორც თავისუფალი და სამართლიანი.

ილჰამ ალიევის გარდა, რეგისტრირებული იყო კიდევ 9 კანდიდატი - აქედან 5 ხელისუფლების მორჩილი და მმართველი პარტიის მიერ მთლიანად კონტროლირებადი პარლამენტის დეპუტატია, 3 კი - ნაკლებად ცნობილი პარტიების ლიდერები. აზერბაიჯანის ოპოზიციური პარტიების კოალიციამ ერთიანი კანდიდატი წამოაყენა - ისტორიკოსი, პროფესორი ჯამილ ჰასანლი. ილჰამ ალიევმა საჯარო ტელედებატებზე უარი თქვა. მის მომხრეები აცხადებენ, რომ ალიევის საქმეები ყველაფერზე ნათლად მეტყველებს.

თითქოს ქვეყანაში არც იყო სერიოზული გაყალბების და არჩევნებზე „ძალისმიერი და აგრესიული“ მეთოდებით მოქმედების საჭიროება, თუმცა ოპოზიციონერმა დამკვირვებლებმა დარღვევები მაინც დააფიქსიერეს, თან უბანების დიდ ნაწილზე. მაგალითად, საარჩევნო კომისიის წევრები ხანშიშესულ ადამიანებს მიუთითებდნენ, თუ ვინ უნდა შემოეხაზათ; ხმის მიცემის მსურველებს, რომლებიც, რატომღაც, სიაში არ იყვნენ, იქვე ამატებდნენ და ა.შ.

საღამოს გამოქვეყნდა ორი სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ეგზითპოლების შედეგები. ერთის თანახმად, ილჰამ ალიევმა ხმების 83,9 პროცენტი მიიღო, ხოლო მეორე ადგილზე გასულმა ჯამილ ჰასანლიმ - 8,2. მეორე გამოკითხვით, ალიევს 80,8 პროცენტი აქვს, ხოლო ჰასანლის - 10,5.

არჩევნებმა მშვიდ გარემოში ჩაიარა.

სირიაში ინსპექტორთა რაოდენობა გაიზრდება

ივა შილაკაძე

სირიაში ჩასასვლელად ქიმიური იარაღის აკრძალვის საერთაშორისო ორგანიზაციის მეორე ჯგუფი ემზადება, ოღონდ ამ ჯგუფის ევროპიდან გამგზავრების თარიღი ჯერ უცნობია. ამ ორგანიზაციის წარმომადგენელმა ახმეტ უზუმჯიუმ განაცხადა, რომ ორგანიზაციის ინსპექტორების მისია კონსტრუქციულად დაიწყო, თუმცა რთული და შრომატევადი იქნება.

დღეს გაეროს უშიშროების საბჭომ ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბან კი მუნის ინიციატივა უნდა განიხილოს, რომელიც სირიის ქიმიური იარაღის განადგურებას ეხება. ეს ინიციატივა გაეროსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთობლივი მისიის შექმნას გულისხმობს, რომელშიც თითოეული მხრიდან 100 ექსპერტი შევა. მათი მუშაობისთვის ორი ბაზა უნდა შეიქმნას - ერთი დამასკოში და მეორე კვიპროსზე, ხოლო ქიმიური იარაღის განადგურება სამ ეტაპად არის დაყოფილი, რაც უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციას და ვადებს ემყარება.

ამ ინიციატივაში ბან კი მუნი ყურადღებას ამახვილებს ინსპექტორთა მუშაობის სირთულეზე სირიაში, განსაკუთრებით საომარი მოქმედებების ზონაში. შესაბამისად, კვიპროსზე მოქმედი ბაზა დამხმარე და მოსამზადებელ ფუნქციებს შეასრულებს. სპეციალისტები ჯერ კვიპროსში გაიგზავნებიან, შესაბამის მომზადებას გაივლიან, მათ შორის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდები დამუშავდება. მხოლოდ შემდეგ გადავა ჯგუფი სირიაში. მას შემდეგ, რაც კონკრეტული ჯგუფი კონკრეტულ ბაზაზე მუშაობას დაამთავრებს, დასასვენებლად და ახალ ობიექტზე მუშაობის დასაგეგმად ისევ კვიპროსზე დაბრუნდება. ეს, ეტყობა, რაღაც ალპინისტების ბანაკის მსგავსი იქნება, საიდანაც სპორტსმენები მთის მწვერვალებზე ადიან.

გუშინ განცხადებები გაკეთდა სირიის სამშვიდობო პროცესის შესახებაც. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებები შეიძლება, მხოლოდ სირიის ოპოზიციის ნაწილთან გაიმართოს და არა ყველასთან, ვინც იქ იბრძვის. კერძოდ, ლავროვის სიტყვებით, სამშვიდობო პროცესში შეიძლება, მხოლოდ „სირიის თავისუფალი არმია“ და „ეროვნული კოალიცია“ ჩაერთოს, რომელიც, ლავროვის გაგებით, ამ არმიის პოლიტიკურ ფრთას წარმოადგენს. ლავროვს და, ლავროვის სიტყვებით, ამერიკელებსაც დიალოგი წარმოუდგენლად მიაჩნიათ იმ ჯგუფებთან, რომლებიც იდეოლოგიით „ალ ქაიდასთან“ ახლოს არიან და სირიაში და მის გარშემოც შარიათის კანონებზე დამყარებული სახელმწიფოს შექმნისთვის იბრძვიან.

თავისთავად, ლავროვს ახალი არაფერი უთქვამს და ისლამისტების ჯგუფებთან ურთიერთობა დასავლეთისთვის ისედაც წარმოუდგენელი იყო.

თელავში ფესტივალი იწყება

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ელისო ვირსალაძე, კოლა (ლუკას ნიკოლაი) ბლაჰერი, ინგოლფ ტურბანი, ნატალია გუტმანი, ედუარდ ბრუნერი, ბენჟამინ გილმორი, მიხეილ ქართველიშვილი, ნოდარ ჟვანია, ჩულ გინ პაკი, გიორგი ქობულაშვილი, ჯააკო ლუომა, თამაზ ბათიაშვილი, პჟემისელ ვოიტა, მიხეილ ქართველიშვილი. ფესტივალზე მსმენელის წინაშე ასევე წარსდგებიან საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“ და სიმებიანი კვარტეტი „იბერი“.

წლევანდელ პროგრამაშია საოპერო მუსიკის კონცერტიც, 13 ოქტომბერს თელავში სოლისტები მზია ნიორაძე და ტიფანი ობანი წარდგებიან მსმენელის წინაშე.

კონცერტები, ტრადიციულად, თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე გაიმართება. საფესტივალო საღამოები მსმენელს სთავაზობს მრავალფეროვან პროგრამას, რომელშიც შესულია მსოფლიო კლასიკური მუსიკის შედევრები. ფესტივალის ფარგლებში გაიმართება ბელგიელი ფოტოხელოვანის დერეკ პრაჟერის ფოტოგამოფენა.

ფესტივალს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია და დიდი ტრადიციები აქვს. ელისო ვირსალაძის მიერ 80-ან წლებში დაარსებულ ფესტივალს (სახელწოდებით „ქება ვაზისა“) ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ანალოგი არ მოეძებნებოდა, არც ფორმატით (კონცერტების სერია და მასტერკლასები), არც მონაწილეთა შემადგენლობით და არც ასეთი მასშტაბის ფესტივალის ჩატარებით ქვეყნის რეგიონში. შემდგომ, ქვეყანაში არსებული ვითარებისა და ობიექტური მიზეზების გამო, ფესტივალი აღარ ჩატარებულა.

2010 წლის ოქტომბერში, თითქმის ოცწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ელისო ვირსალაძის ინიციატივით, მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში განახლებული სახით (ასევე, სახელწოდებით) აღდგა. სპეციალურად ფესტივალისთვის სახელმწიფომ შეიძინა „Steinway & Sons“-ის საუკეთესო ორი საკონცერტო როიალი. წელს კლასიკური მუსიკის ფორუმი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება. გენერალური სპონსორია კომპანია „კავკასუს ონლაინი“, რომელიც ინტერნეტით ფესტივალის ონლაინ ჩვენებას უზრუნველყოფს ვებ გვერდზე www.co.ge.

ფესტივალი ტარდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

ბილეთები იყიდება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისა და თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სალაროებში. გენერალური სპონსორი - „კავკასუს ონლაინი“.

მხარდამჭერები: კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაცია, თბილისის მერია, ალექსანდრე ჭავჭავაძის მუზეუმი „წინანდალი“, სასტუმროთა ქსელი „ელ-ჯი“, სასტუმროთა ქსელი „რჩეული“, სასტუმრო „ძველი თელავი“, „ვინივერია“, კომპანია „JTC“

კომპანია „VT Georgia“.

საინფორმაციო მხარდაჭერა: საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, „რუსთავი 2“, „გაზეთები 24 საათი“ და „ჯორჯია თუდეი“, „Focus TV“, „GHN“, „რადიო მუზა“ და „რადიო ერთი, „არტარეა“. 24 საათი

სიღარიბის დაძლევისკენ მიმავალი გზა

THE WORLD BANK

Working for a World Free of Poverty

პირველი გვერდიდან

სულ რაღაც, ექვსი თვის წინ მსოფლიო ბანკის ჯგუფმა ორი ძირითადი მიზანი დაისახა: 2030 წლისთვის უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა და სხვადასხვა ქვეყნებში მოსახლეობის შედარებით ღარიბი ნაწილის (ქვედა სოციალური ფენების, ან მოსახლეობის 40 პროცენტის) კეთილდღეობის ზრდა.

ჩვენი პირველი მიზნის ანუ 2030 წლისთვის უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრის მიღწევა ისტორიული და საოცრად რთული ამოცანა იქნება. ამ მხრივ გარკვეული პროგრესი გვაქვს, მაგრამ სიღარიბესთან ბრძოლაში გარანტიები არ არსებობს და რაც უფრო ახლოს ვიქნებით მიზანთან, მით უფრო გართულდება მისი მიღწევა. შესაძლებელია მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპების შენელება. ინვესტორებმა შეიძლება, უფრო მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ. უაღრესად საჭირო ინფრასტრუქტურის ისედაც მწირი გრძელვადიანი დაფინანსება შეიძლება, საერთოდ შეწყდეს.

მეორე მიზანი, რომელიც საერთო კეთილდღეობის ზრდას გულისხმობს, პირდაპირ ეხება მსოფლიოს ყველა ქვეყანას - ახლო აღმოსავლეთს, აფრიკას, აზიას თუ ლათინურ ამერიკას. «არაბული გაზაფხულის“ საპროტესტო გამოსვლების, ისევე როგორც ახლახანს თურქეთში, ბრაზილიასა და სამხრეთ აფრიკაში ჩატარებული დემონსტრაციების საფუძველი ის იყო, რომ მათ სურდათ, მსოფლიოში საშუალო კლასის ნაწილი გამხდარიყვნენ.

სოციალურმა მედიამ უზარმაზარი «ვირტუალური საშუალო კლასი“ (როგორც ამას თომას ფრიდმანი უწოდებს) შექმნა, რომელიც შესაძლებლობების კარზე კაკუნს გააგრძელებს და შემდეგ მას შეანგრევს კიდეც. გაცილებით უფრო მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ იმას, თუ რამდენად სასარგებლოა ეკონომიკური ზრდა მთელი მოსახლეობისთვის და არა მხოლოდ მისი ელიტარული ნაწილისთვის.

აღნიშნული ორი ძირითადი მიზანი (სიღარიბის დაძლევა და საერთო კეთილდღეობის ზრდა) ისეთ სტრატეგიას მოითხოვს, რომელიც შერჩევით მიდგომას ითვალისწინებს - პირველ რიგში, პრიორიტეტები უნდა განვსაზღვროთ და შემდეგ შევაჩეროთ ის საქმიანობა, რომელიც პრიორიტეტს აღარ წარმოადგენს. ჩვენ არ გავაგრძელებთ ისეთ სფეროებში მოღვაწეობას, რომლებშიც სხვა ორგანიზაციები გვჯობნიან, ასევე აღარ გავაგრძელებთ სესხების გაცემას უბრალოდ სესხების გაცემის გეგმების შესასრულებლად. ჩვენ «პრობლემების მოგვარების ბანკად“ ჩამოვყალიბდებით, რომლის მთავარი ამოცანა ღარიბი მოსახლეობისთვის დასახული მიზნების მიღწევაში დახმარება იქნება.

მაშასადამე, რა არის ჩვენი პრინციპები? ჩვენ აღნიშნული ორი მიზნის მიღწევის გზაზე ყურადღებას არ მოვადუნებთ. ვიმუშავებთ პარტნიორებთან, რადგან ამ მიზნების მიღწევა ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს. ვიქნებით გაბედულნი. სარისკო გადაწყვეტილებებს გონივრული გზით მივიღებთ და აქ ვგულისხმობ იმას, რომ ისეთ პროექტებში მოვახდენთ ინვესტირებას, რომლებიც ქვეყნის ან რეგიონის ტრანსფორმაციას შეუწყობს ხელს. მაშინაც კი, თუ ამგვარ პროექტებში მონაწილეობისას წარუმატებლობის ფაქტორი იარსებებს.

ჩვენ ისეთი ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების შექმნაზე ვიმუშავებთ, რომლებიც გრძელვადიანი დაფინანსებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნას შეძლებენ, რადგან ამგვარ დაფინანსებას ბევრი ქვეყანა სასწრაფოდ ითხოვს.

აღსანიშნავია ამ ახალი სტრატეგიის სამი ელემენტი:

პირველ რიგში, სიღარიბესთან საბრძოლველად კერძო სექტორთან პარტნიორულ ურთიერთობებს დავამყარებთ და ღარიბი მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილებს ერთად შევქმნით. Ecom-ი - კერძო სექტორთან მომუშავე საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის კლიენტი კომპანია 30-ზე მეტ ქვეყანაში ქოქოსის, ყავის და ბამბის მწარმოებელ ფერმერს გლობალურ ბაზრებთან აკავშირებს. შარშან Ecom-მა 134,000-ზე მეტ ფერმერს და, ფერმერული ორგანიზაციების მეშვეობით, ათასობით სხვა ადამიანს გაუწია დახმარება.

მეორე - ჩვენ კიდევ უფრო მეტ სამუშაოს გავწევთ მყიფე მდგომარეობაში მყოფ და კონფლიქტებით დაზარალებულ სახელმწიფოებში. გაერო-ს გენერალური მდივანი ბან კი მუნი და მე ცოტა ხნის წინ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილს ვეწვიეთ. გაერო-ს ბაზიდან ადგილობრივ საავადმყოფომდე მიმავალი გზის ორივე მხარეს უამრავი ხალხი იდგა. მათი უმრავლესობა ქალები იყვნენ. არასდროს დამავიწყდება ის ტრანსპარანტი, რომელიც ერთ-ერთ ქალბატონს ეჭირა ხელში. ტრანსპარანტზე უბრალოდ ეწერა: «შეაჩერეთ სექსუალური ძალადობა“.

ჩვენ აფრიკის დიდი ტბების რეგიონში ოპერატიულად ვმუშაობთ. რეგიონის დასახმარებლად, განსაკუთრებით კონგოს აღმოსავლეთ ნაწილისთვის, სწრაფად მოვუყარეთ თავი დამატებით 1 მილიარდ აშშ დოლარის ოდენობის დახმარებას.

პირობას ვდებ, რომ მყიფე მდგომარეობაში მყოფი და კონფლიქტით დაზარალებული სახელმწიფოებისადმი ჩვენი დახმარება მნიშვნელოვნად გაიზრდება. იმედი მაქვს, შემდეგი სამი წლის განმავლობაში საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძირითადი დაფინანსების წილის 50 პროცენტით გაზრდას შევძლებთ - ეს არის მსოფლიო ბანკის ფონდი ყველაზე ღარიბი და არამდგრადი ქვეყნებისთვის. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ასევე დადებს პირობას, რომ შემდეგი სამი წლის განმავლობაში მყიფე მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს დახმარებას 50 პროცენტით გაუზრდის.

მესამე - ჩვენ ვიქნებით რაც შეიძლება ამბიციურნი გლობალური მნიშვნელობის საკითხებში. მათ შორის, ქალებისა და გოგონების დახმარებისთვის ინვესტიციების განხორციელების და კლიმატურ ცვლილებებთან ბრძოლის კუთხით. მაგალითად, კლიმატურ ცვლილებებზე ჩვენი რეაგირება იმდენად გაბედული უნდა იყოს, რომ ის ამ პრობლემის მასშტაბებს შეესაბამებოდეს.

თუ უკიდურესი სიღარიბის დასრულება გვსურს, ძლიერი თემი უნდა შევქმნათ და შევამსუბუქოთ ზიანი, რომელიც ბუნებრივი კატასტროფების შედეგად ან მსგავსი დარტყმებისგან იქნება გამოწვეული, რათა ადამიანებს მიღწეული შედეგების გრძელვადიანად შენარჩუნების საშუალება ჰქონდეთ.

სულ რაღაც, სამი დღის წინ ნიუიორკის ცენტრალურ პარკში «მოქალაქეთა გლობალურ ფესტივალზე“ 60,000 ადამიანი შეიკრიბა და მსოფლიოს სიღარიბის დასრულებისკენ მოუწოდა. ვთხოვ ყველას, ვინც ამ მიმართვას კითხულობს - ახლავე შემოუერთდით ჩვენს მოძრაობას, ეწვიეთ გლობალური სიღარიბის პროექტის ვებგვერდს: www.zeropoverty2030.org და მოაწერეთ ხელი პეტიციას, რომელიც სიღარიბის მოსპობას უკვე შემდეგი თაობისთვის მოითხოვს.

ეს ჩვენი დროის უაღესად მნიშვნელოვანი მორალური საკითხია. არ შეიძლება. მილიარდზე მეტი ადამიანი უკიდურეს სიღარიბეში ვამყოფოთ, როდესაც მათი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლისთვის შესაბამისი ბერკეტები და რესურსები გაგვაჩნია.

ზოგიერთი პრობლემისთვის, მაგალითად კლიმატური ცვლილებებისთვის, დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ როგორც მარტინ ლუთერ კინგმა თქვა: «სწორი ქმედებისთვის დრო ყოველთვის ხელსაყრელია“. სწორედ ამის დრო დადგა და ჩვენ ვართ ის ხალხი, ვინც ეს უნდა გააკეთოს.

მოდით, ვიმოქმედოთ.

შავფაროსნები მნიშვნელოვან გეგმებს ლუდ „მთიელთან„ ერთად განახორციელებენ

„კრიალა ტბებში ნახარში, ნადული ნისლის ორთქლითა, ლივლივებს თიხის კათხაში, მთის ლუდი, წესი მოდგმითა“ - ლუდი „მთიელი“ გამორჩეულია არა მხოლოდ თავისი უნიკალური გემოთი, არამედ მისი სარეკლამო რგოლებიც ყოველთვის განსაკუთრებული და საინტერესოა, რომელშიც ყოველთვის ხაზგასმულია მთის ლუდისა და მისი ხარშვის უძველესი ტრადიციების აღდგენა...

შავფაროსნებიც ყოველთვის გამორჩეულები იყვნენ - ისტორიის მანძილზეც და ახლაც - თუკი წარსულში ისინი სამშობლოს ერთიანობისთვის დებდნენ თავს, დღეს ქართული საბრძოლო ხელოვნების ტრადიციების აღდგენისთვის და პოპულარიზაციისთვის იღწვიან...

ამ ყველაფრიდან ლოგიკური შედეგი ასეთი მივიღეთ: ლუდი „მთიელი“ და შავფაროსნები პარტნიორები გახდნენ და საზოგადოების წინაშე პირველი ერთობლივი სარეკლამო რგოლით გამოჩნდნენ.

ახალი რგოლის პრეზენტაცია ფოლკლორის ეროვნულ ცენტრში შედგა, რომელზეც დეტალების შესახებ „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორმა, თორნიკე ნიკოლაიშვილმა და შავფარსნების კავშირის წევრმა, **ზურაბ მახარაძემ** ისაუბრეს.

პრემიერაზე სტუმრებმა შავფაროსნების ორთაბრძოლა იხილეს და „ვაჟთა ფოლკლლორული ანსამბლის“ მიერ შესრულებული ქართული ხალხული სიმღერები მოისმინეს.

როგორც გაირკვა, შავფაროსნები მიზნად ისახავენ მთიანად ქართული საბრძოლო ხელოვნებისა და მასში გაერთიანებული საბრძოლო სახეობების, საქართველოში საბრძოლო კულტურის, უძველესი საბრძოლო ტრადიციების შესწავლას, აღდგენასა და სისტემატიზაციას. ასევე, მის ერში გაცოცხლებას და კულტურის საკმაოდ მიმქრალი ინფორმაციის აქტუალიზაციას.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, როგორც კომპანიაში განმარტავენ, ლუდი მთიელი „შავფაროსნების“ პარტნიორი სიამაყით გახდა და თანამშრომლობის ფარგლებში შეიქმნა სარეკლამო რგოლი, რომელიც ფართო საზოგადოებასაც აჩვენებს იმ აღტკინებას, რომლითაც წარსულში ჩვენი წინაპრები იბრძოდნენ.

თორნიკე ნიკოლაიშვილი, კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი:

- ჩვენი შეხვედრის მიზანია, წარმოვადგინოთ ზოგადად ლუდი „მთიელის“ კონცეფცია, რომელიც გამოხატულია სარეკლამო რგოლით და რომელიც სარეკლამო სატელევიზიო ფარგლებს სცდება - ამ რგოლის მიზანია, წარმოვიდგინოთ შავფაროსნები. ეს არის პირველი პროექტი და იმედი გვაქვს, რომ აქედან დაიწყება „შავფაროსნებისა“ და ლუდი „მთიელის“ მეგობრობა, რადგან აღნიშნული ორი ფენომენი კონცეპტუალურად ერთმანეთს კარგად შეესაბამება.

„მთიელი“ არის მთის ლუდისა და ლუდის ხარშვის ტრადიციების აღორძინების მაგალითი, ხოლო „შავფაროსნებმა“ მოიძიეს, აღორძინეს და შეინარჩუნეს ის ტრადიცია, რასაც ქართული საბრძოლო ხელოვნება ჰქვია. იმედი მაქვს, უფრო სწორად დარწმუნებული ვარ, ყველა, ვინც ამ სარეკლამო რგოლს ნახავს, ჩვენს ემოციას გაიზიარებს. ვფიქრობთ, ეს სარეკლამო რგოლი ლუდი „მთიელისა“ და შავფაროსნების ურთიერთობის წარმატებული დასაწყისია.

ეს ორი სხდავსხვა დანიშნულებისა და დატვირთვის მქონე, მაგრამ ტრადიციების გამრგძელებელი გუნდი, შეუძლებელია ერთმანეთთან არ მეგობრობდეს, რადგან ცალ-ცალკე ორივე ქართულ საქმეს ემსახურება, ერთად კი ბევრად მეტის გაკეთებას შევძლებთ.

ზურაბ მახარაძე, შავფაროსნების წარმომადგენელი:

- ქართული საბრძოლო ხელოვნება და შავფაროსნები დიდი ხანია უკვე ამ საქმეს ვაკეთებთ: ქართული საბრძოლო ხელოვნების მოძიებას, აღდგენას, დამუშავებას. თავიდან მცირე იყო საზოგადოების ინტერესი ამ საქმის მიმართ და ბევრს არც კი ეჯერა, რომ ქართველებს ასეთი საბრძოლო ხელოვნება გვქონდა... შემდეგ მოხდა ისე, რომ უკვე ლუდმა „მთიელმა“ გადაწყვიტა გაეცოცხლებინა მთიელების სახე და კლიპში მონაწილეობა შემოგვთავაზა. გადაღებების პროცესი შატილში მიმდინარეობდა და ჩვენთვის ეს ძალიან დიდი სტიმული იყო, რადგან იმას, რასაც ჩვენ ამდენი წელია ვსწავლობთ - ფარიკაობას, ჩავედით ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის სამშობლოში.

ხასიათითა და იდეით ლუდი „მთიელი“ და შავფაროსნები ძალიან შეეფერებიან ერთმანეთს. ამდენად, რაც უფრო მეტად მოთხოვნადი გახდება ქართული ტრადიციები, ქართული საბრძოლო ხელოვნება, არ იქნება მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატი, მით მეტად მოხარული ვიქნებით. თუ ქართული კულტურის ამ ნაწილს ისევე დავაფასებთ, როგორც მას მაგალითად იაპონელები აფასებენ, ჩვენი ქვეყნისთვისაც კარგი იქნება და ნებისმეირი მოქალაქისთვისაც.

„ემპოლის„ მჭედლიძე სჭირდება

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ლევან მჭედლიძე ოფიციალურად არც არის გამოძახებულთა სიაში.

ინტერნეტგამოცემა წერს: ლევან მჭედლიძე უარს ამბობს ეროვნულ ნაკრებზე და იტალიაში რჩება, რათა „რეჯინასთან" მატჩისთვის მოემზადოს („რეჯინა" „ემპოლის" შაბათს უმასპინძლებს).

ის ეროვნულ ნაკრებში თამაშზე კატეგორიულ უარს კი არ ამბობს, არამედ, ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოპოვების შანსი დაკარგული აქვს, „ემპოლის" კი მნიშვნელოვანი მატჩი ელის „გრანილოზე".

აქვეა თავად ფეხბურთელის კომენტარიც: „ჩემს ქვეყანასა და ეროვნულ ნაკრებზე მიჯაჭვული ვარ, მაგრამ ახლა მსურს უკეთესად მოვემზადო მატჩისთვის, რომელიც რეჯო კალაბრიაში გველის. მწვრთნელს და თანაგუნდელებს ძალიან ვჭირდები, მათ ვერ ვუღალატებ".

„ემპოლის" ქართველი ლეგიონერი საკუთარ უგოლო სერიაზეც საუბრობს: „იმედი მაქვს, გოლს მალე გავიტან, თუმცა, ჩემთვის მთავარია, გუნდს თავდაუზოგავი შრომით დავეხმარო. როდესაც მოედანზე გავდივარ, ყოველთვის ვცდილობ, ბოლომდე დავიხარჯო".

გამოცემა ხაზს უსვამს მის მხიარულ ხასიათსაც - „ლევანი „ემპოლიში" ძალიან უყვართ, რადგან სულ იღიმება. ასე იყო მაშინაც, როცა შუა ინტერვიუს დროს ჯოვანი მარტუსკიელმა (მწვრთნელის თანაშემწე) ხელი შეგვიშალა «ლევან-ლევანტეს» ყვირილით, რომელიც ცნობილი კომიკოსის, მასიმო ჩეკერინის ცნობილი ფრაზის - „ტაპამილევანტე-ტაპამის" პერიფრაზაა კინოფილმ „ციკლონიდან".

„ემპოლი" სერია B-ში 17 ქულით მეორე ადგილზეა. ქართველმა თავდამსხმელმა ბოლოს აგვისტოში გაიტანა გოლი - იტალიის თასზე დუბლი შეასრულა „სიუდტიროლის" კარში. ჩემპიონატში კი მაისის მერე არ გაუტანია.

კაცების გრანდ სეზონი

US Open დასრულდა და შესაძლებელია 2013 წლის დიდი სლემის ოთხივე ტურნირის შედეგების შეჯამება. თავისებური «ჰიტ-პარადის» პირველ ნაწილში შეჯამებულია ვაჟთა ტურნირების შედეგები.

მთავარი გმირი - რაფაელ ნადალი

2012 წლის სეზონის მეორე ნახევრის გამოტოვების შემდეგ რაფას დაბრუნებას ყველა ელოდა Aუსტრალიან Oპენ-ზე, სადაც მას მოუწევდა ქულების დაცვა ფინალში გასასვლელად. ესპანელმა ამჯობინა ტრავმირებული მუხლიEბოლომდე მოერჩინა, რათა სეზონი დაეწყო თავის საყვარელ „როლან გაროსზე". პარიზში ნადალმა მოიპოვა მერვე ტიტული, თუმცა, ნოვაკ ჯოკოვიჩთან ნახევარფინალში ბეწვის ხიდზე მოუხდა გავლა. შემდეგ ზედიზედ მეორე წარუმატებლობა უიმბლდონზე აანაზღაურა ამერიკულ ჰარდზე ფეერიული გამოსვლით. US Open-ზე მან ხუთ შეხვედრაში მოწინააღმდეგეებს არ მისცა ბრეიკის გაკეთების საშუალება, ხოლო ფინალში ჯოკოვიჩთან აჩვენა ფენომენალური თამაში, რითაც ყველა დაარწმუნა, რომ მსოფლიოს პირველ ჩოგანთან მას გარკვეული უპირატესობა აქვს. შედეგად ესპანელმა შეიძლება სულ მალე დაიბრუნოს საჩოგბურთო ტახტი, ხოლო მისი ლიდერობა ეჭვგარეშეა, მით უფრო, რომ სავსებით შესაძლებელია რაფამ Australian Open-ზე მოიპოვოს კიდევ ერთი საჩემპიონო ტიტული.

მთავარი იმედგაცრუება - როჯერ ფედერერი

გასულ სეზონში ფედერერმა ყველა შეაგუა აზრს, რომ ოცდაათი წლის ასაკშიც შეუძლია იყოს საუკეთესო. მით უფრო მოულოდნელი იყო მისი მარცხი 2013 წლის „მეიჯორებზე", თუმცა, თავიდან არაფერი ჩანდა საგანგაშო. მელბურნში შვეიცარიელმა ბრძოლით მიაღწია ნახევარფინალს, სადაც, უბრალოდ, ფიზიკურად ვეღარ გაუძლო ზედიზედ მეორე ხუთსეტიან თრილერს და დათმო ენდი მარეისთან. განგაშის პირველი ზარი გაისმა „როლან გაროსზე", როდესაც ჟო-ვილფრედ ცონგამ, თითქმის ძალების დაძაბვის გარეშე, მეოთხედფინალში დაამარცხა როჯერი. მერე კი დადგა ზაფხულის სენსაციების ჯერი. უიმბლდონზე ტიტულის დაცვის მცდელობა დასრულდა მეორე რაუნდში, როდესაც ფედერერმა ვერაფერი დაუპირისპირა ბრწყინვალე serve-and-volley სტილს სერგეი სტახოვსკის შესრულებით; რევანშის მუქარა US Open-ზე ფუჭი აღმოჩნდა - მეოთხე რაუნდში როჯერმა ერთი სეტიც ვერ აიღო მასავით ხანდაზმულ ტომი რებრედოსთან. პირველად 2003 წლიდან სახელგანთქმული შვეიცარიელი ზედიზედ ორჯერ ვერ აღწევს «მეიჯორების» მეოთხედფინალს. მაშინ შავი ზოლი შეწყდა უიმბლდონის ჩემპიონობით. როგორ იქნება ახლა, არავინ იცის, შესაძლოა, თვით ფედერერმაც.

ალტერნატივა: იანკო ტიპსარევიჩი, ნიკოლას ალმაგრო.

მთავარი სენსაცია - როჯერ ფედერერის დამარცხება სერგეი სტახოვსკისთან უიმბლდონის მეორე რაუნდში.

ამ შეხვედრამდე ფედერერს ჰქონდა „მეიჯორების", სულ მცირე, მეოთხედფინალში ზედიზედ ოცდათექვსმეტი გასვლის უპრეცედენტო სერია, სტახოვსკის კარიერული სტატისტიკა კი - 12:12 ბალახის საფარზე. თითქოსდა სერგეის შანსი შეხვედრაში მინიმალურზე მცირე იყო. აღმოჩნდა, რომ პირიქით. უკრაინელი გმირულად იბრძოდა, მოქმედებდა ინგლისური საჩოგბურთო კლუბის კორტებისთვისაც კი მიყენებულ serve-and-volley სტილში, პირველივე შესაძლებლობისას გადიოდა ბადესთან, მშვენივრად თამაშობდა ჰაერში. ფედერერი შედარებით იოლებით ატარებდა ულაპარაკო „ანდერდოგის" დარტყმებს, თამაშის ბოლოს კი სრულებით დაკარგა სახე, ნერვიულობდა და არაჯენტლმენურად იქცეოდა.

ალტერნატივა: ენდი მარის დამარცხება სტანისლავ ვავრინკასთან US Open-ის მეოთხედფინალში.

საუკეთესო შეხვედრები

ნოვაკ ჯოკოვიჩი - სტანისლავ ვავრინკა, 1/6, 7/5, 6/4, 6/7(5), 12/10. Australian Open, მეოთხე რაუნდი.

ზუსტად ამ შეხვედრიდან დაიწყო ვავრინკას გარდასახვა ამ სეზონში. შვეიცარიელი არაფერში ჩამორჩებოდა თავის ტიტულოვან მეტოქეს, ხოლო ამ შეხვედრის მეხუთე პარტია ტურნირის მშვენებად იქცა. ხუთი საათი და ორი წუთი - ეს მატჩი ხანგრძლივობით Australian Open-ის ისტორიაში მესამე ადგილზეა.

დავით ფერერი - ნიკოლას ალმაგრო, 4/6, 4/6, 7/5, 7/6(4), 6/2. Australian Open, მეოთხედფინალი.

ალმაგრომ ჩაატარა თითქმის იდეალური შეხვედრა და აჩვენა უმაღლესი დონის ჩოგბურთი. „თითქმის" იმიტომ, რომ მესამე სეტში გამარჯვებამდე სამჯერ რჩებოდა მოსაპოვებელი ორი ქულა და სამჯერვე მატჩბოლიც ვერ დაიმსახურა. მერე კი ნიკომ მიიღო ტრავმა და ყოველი გათამაშების შემდეგ ნაღვლიანად უყურებდა, შრომისმოყვარე და მონდომებული ფერერი როგორ ართმევდა ბრწყინვალე სტარტის ნაყოფს.

რაფაელ ნადალი - ნოვაკ ჯოკოვიჩი, 4/6, 6/3, 1/6, 7/6(3), 7/9, „როლან გარო", ნახევარფინალი.

ტურნირის მთავარი ფავორიტების ზღაპრული შერკინება, რომელმაც ბედის ირონიით დაამშვენა მხოლოდ ნახევარფინალი. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ისტორიულ გამარჯვებამდე ჯოკოვიჩსაც ერთი ნაბიჯი აკლდა; ორთაბრძოლის აზარტში ბადეზე დაჯახებამ გააცამტვერა მისი იმედები. კიდევ ერთ ტიტანურ მეხუთე სეტში უფრო ძლიერი აღმოჩნდა „გრუნტის მეფე". კარიერული „Grand Slem" ისევ არ დაემორჩილა ნოვაკს.

ნოვაკ ჯოკოვიჩი - ხუან მარტინ დელ პოტრო, 7/5, 4/6, 7/6(2), 6/7(6), 6/3, უიმბლდონი, ნახევარფინალი.

ნოვაკ ჯოკოვიჩის კიდევ ერთი მარათონული შეხვედრა. ორაბრძოლა, რომელმაც ფაქტობრივად გადახაზა სერბის შანსები მოგებაზე ენდი მარეისთან ფინალში. ხუან მარტინ დელ პოტრომ დათმო შეხვედრა, მაგრამ თავისებურად შურიც იძია - ჩესნოკოვის მოსწრებული გამონათქვამით, არგენტინელმა ლიმონივით გამოწურა ჯოკოვიჩი.

ნოვაკ ჯოკოვიჩი - სტანისლავ ვავრინკა, 2/6, 7/6(4), 3/6, 6/3, 6/4. US Open, ნახევარფინალი.

რომ გაეჩერებინა ვავრინკას აღმაფრენა, რომელმაც ეს-ესაა გამოთიშა ტურნირიდან მოქმედი ჩემპიონი, ნოვაკს დასჭირდა მთელი თავისი ძალა და ოსტატობა, რაც ასე დააკლდა ფინალურ შეხვედრაში ნადალთან. ერთი სიტყვით, 2013 წლის სეზონმა დაამტკიცა, რომ „რკინის" ნოვაკის შესაძლებლობებსაც აქვს ზღვარი, თუნდაც ეს ზღვარი თვალუწვდენელ სიმაღლეზე მდებარეობდეს.

საქართველო VS ჰოლანდიაზე დასწრება თავისუფალია

საქართველოს 21 წლამდელთა საფეხბურთო ნაკრები ჰოლანდიასთან შეხვედრისთვის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" ემზადება. გუშინ ალექსანდრე ჩივაძის გუნდმა მატჩისწინა, ბოლო ვარჯიში ჩაატარა.

ჰოლანდიის ახალგაზრდული ნაკრები თბილისში 8 ოქტომბერს ჩამოვიდა, გუშინ კი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ივარჯიშა. დღესვე, ამავე სტადიონზე, საქართველო-ჰოლანდიის ახალგაზრდული ნაკრებები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. შეხვედრა 15 საათზე დაიწყება. დასწრება უფასოა, მატჩის რეპორტაჟს კი „საზოგადოებრივი მაუწყებლის" მეორე არხი გთავაზობთ.

„ბაიერნი" „ბარსელონა" არ არის

„ბარსელონადან" „ბაიერნში" გადასვლის შემდეგ ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ კატალონიელთა ყოფილი დამრიგებელი ხოსეპ გვარდიოლა გერმანულ გრანდში ეგრეთ წოდებულ „ტიკი-ტაკას" სათამაშო სტილს დანერგავდა.

მიუნხენის „ბაიერნის" ჰოლანდიელი მოთამაშე არიენ რობენი კი ამ ჭორს უარყოფს და ამბობს: „ბაიერნი" მეორე „ბარსელონა" არ არის. შედარება ლოგიკურია, მაგრამ აქცენტი ჩვენ თავზე უნდა გავაკეთოთ.

ჩვენ ვართ „ბაიერნი"! ჩვენ არ გვყავს ჩავი, მესი, მაგრამ ჩვენთან სხვა დიდი

ფეხბურთელები თამაშობენ.

მწვრთნელს თავისი ფილოსოფია აქვს და ცდილობს, ის ჩვენამდე მოიტანოს. იგივეს აკეთებდა „ბარსელონაში", ახლა კი ამას „ბაიერნში" ცდილობს.

„ბარსელონას" სტილში არ ვთამაშობთ, ჩვენ ჩვენი სტილი გვაქვს, ხოლო გვარდიოლა თავისი ხედვით მასზე საუკეთესო გავლენას ახდენს".

ბალოტელი დაშავდა

Sky Italia-ს ცნობით, იტალიის ნაკრებისა და „მილანის" თავდამსხმელი მარიო ბალოტელი ერთ-ერთ ვარჯიშზე დაშავდა და საწვრთნელი პროცესი ნაადრევად დაასრულა. უახლოეს პერიოდში ექიმები დეტალურად გამოიკვლევენ ბალოტელის და საბოლოო პასუხსაც იტყვიან. ერთნი ამბობენ, მუხლი აწუხებსო, მეორენი ამტკიცებენ, კუნთი დაეჭიმაო. ასე რომ, მარიო ბალოტელიმ, შესაძლოა, დანიის ნაკრებთან ვერ ითამაშოს.

გიუნდოგანით „მანჩესტერ იუნაიტედი" დაინტერესდა

Daily Star-ის ცნობით, ზამთრის სატრანსფერო სეზონზე ილკაი გიუნდოგანმა, შესაძლოა,

დორტმუნდის „ბორუსია" დატოვოს. ზაფხულში გერმანიის ნაკრების ფეხბურთელის მიმართ „ბარსელონა" და „არსენალი" იჩენდნენ ინტერესს, ახლა კი გერმანელი ნახევარმცველის გადაბირების მსურველთა შორის „მანჩესტერ იუნაიტედიც" აღმოჩნდა. ბრიტანული სააგენტოების ცნობით, ზამთრის სატრანსფერო სეზონზე „მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობა 50 მილიონი ევროს გამოყოფას აპირებს.

მიმდინარე სეზონში გიუნდოგანმა ბუნდესლიგაში ერთი მატჩი ჩაატარა, რადგან გერმანიისა და პარაგვაის ამხანაგურ თამაშში (3:3) მძიმე ტრავმა მიიღო.

დელ ბოსკე 2016 წლამდე ესპანეთთან რჩება

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელთან, ვისენტე დელ ბოსკესთან თანამშრომლობის გახანგრძლივება სურს. ესპანური AS-ის ცნობით, მხარეები ახალი ხელშეკრულების თაობაზე მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბელარუსთან და საქართველოსთან მატჩების შემდეგ შეუდგებიან მოლაპარაკებას.

ამავე გამოცემის თანახმად, მხარეები ახლოს არიან შეთანხმებასთან, რომლის მიხედვით, დელ ბოსკე 2016 წლამდე დარჩება „ფურია როხას" სათავეში. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაში ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე სხვა კანდიდატურას არ განიხილავენ. თავად დელ ბოსკეს არაერთხელ განუცხადებია, რომ ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებს დატოვებდა.

„დელ ბოსკე ესპანური ფეხბურთის მემკვიდრეობაა, - ამბობს ფედერაციის გენერალური მდივანი ხორხე პერესი. - ესპანეთის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე სხვა კანდიდატი არ გვყავს. ის იქამდე იქნება მწვრთნელის თანამდებობაზე, ვიდრე თვითონ ენდომება".

62 წლის დელ ბოსკეს ხელმძღვანელობით (ნაკრებს 2008 წლიდან უდგას სათავეში) ესპანეთის ნაკრებმა 2010 წლის მსოფლიო და 2012 წლის ევროპის ჩემპიონატები მოიგო.

დღეს „ფურია როხა" ექვსი მატჩიდან 14 ქულით I ჯგუფს ლიდერობს.


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK GEORGIA & ARMENIA FINAL SHOW
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE WWW.ELITEMODELLOOK.COM/AM
5 OCTOBER
Tbilisi, Georgia
20:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
ARMENIA
MODEL MANAGEMENT
kikala studio
MAX PROM
BEAUTY SALON L'Académie
OUtdooR.ge
saller
ADSSPRINT
SHOES-CAFE MADONNA
TBILISI MALL
McCANN TBILISI
NEPTUN
MUSIC BOX
myVIDEO.GE
ego
GHN
ANGEL
MSG MARKETING
24 საათი
allmovies.ge
Pink
LUXURY
IMPERIAL PALACE HOTEL
KAMOBLOG.TV
FASHION BLOG .AM